

**ინტერესთა გამოსატვა საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის
შემუშავების საკონსულტაციო მომსახურებაზე**

დავალბა

სარჩევი

ა. შესავალი	2
ბ. ზოგადი მიმოხილვა.....	5
გ. გეგმის მიზნები, ამოცანები და მიდგომები	11
დ. სამუშაოს მოცულობა და დავალებები	14
ე. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და გუნდის შემადგენლობა	16
ვ. განხორციელებული ღონისძიებები და ანგარიშგება	17
დანართები.....	18
დანართი #1. საკანონმდებლო ბაზა გეგმის შესამუშავებლად.....	19
დანართი #2. საკვანძო პოლიტიკური დოკუმენტები, კვლევები და ანგარიშები	31

ა. შესავალი

1. საქართველო სამხრეთ კავკასიის ნაწილია. ის მდებარეობს აღმოსავლეთ ევროპასა და დასავლეთ აზიას, შავ და კასპიის ზღვებს შორის. ქვეყნის მოსახლეობა დაახლოებით 3.7 მილიონი ადამიანია. ამასთანავე, თბილისში, დედაქალაქში, თავმოყრილია მოსახლეობის დაახლოებით მესამედი. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სტრუქტურული რეფორმების ფონზე, საქართველომ სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას მიაღწია და ახლახან დაიმსახურა ზედა საშუალო კატეგორიის შემოსავლის მქონე ქვეყნის (UMIC) სტატუსი. ევროკავშირისა (EU) და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება 2016 წლის ივლისში ამოქმედდა, რომელიც მხარს უჭერს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას¹. თუმცა, არათანაბარი რეგიონული განვითარება, ქვეყნის შიგნით უთანასწორობას ქმნის. საქართველომ უნდა განაგრძოს სტრუქტურული ტრანსფორმაცია და ხელი შეუწყოს შესაბამის სივრცით განვითარებას.

2. 2018 წელს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ (შემდგომში - „კოდექსი“), რომლის ძირითადი ნაწილიც 2019 წლის 3 ივნისს ამოქმედდა. იმავე დღეს, საქართველოს მთავრობის N260 დადგენილებით დამტკიცდა „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“ (შემდგომში - „წესი“). კოდექსის თანახმად, ქვეყანას უნდა გააჩნდეს ნორმატიული ხასიათის სივრცის დაგეგმარების გეგმა (NSDP - შემდგომში - „გეგმა“). 2022 წელს შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტო“ (SUDA - შემდგომში „სააგენტო“), რომლის საქმიანობასაც ზედამხედველობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MOESD - შემდგომში „სამინისტრო“). „სააგენტო“-ს ძირითადი ფუნქციაა ქვეყნის სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების პოლიტიკის განსაზღვრა და გატარება. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „გეგმი“-ს შემუშავება და მის განხორციელების პროცესზე ზედამხედველობა².

3. ამ პროცესის სამართავად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოს სივრცის დაგეგმარების სამთავრობო კომისია. (ICSP - შემდგომში სამთავრობო კომისია), რომელმაც 2022³ წელს განაახლა ფუნქციონირება. მისი თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერმინისტრი, ხოლო მოადგილე - ვიცეპრემიერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. კომისიის წევრები არიან: კიდევ 11 მინისტრი, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების თავმჯდომარეები, ყოფილი სამხრეთ ოსეთის დროებითი

¹ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) შეთანხმების განუყოფელი ნაწილია.

² სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტოს (SUDA) ძირითადი მიზნებია:

- საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის (NSDP) შემუშავება და დანერგვა;
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დახმარება საკუთარი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების კოორდინირებაში;
- რელევანტური კანონმდებლობის ჰარმონიზება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საუკეთესო პრაქტიკასთან;
- სივრცითი/ქალაქგეგმარების დადებითი მხარეების წარმოჩენის გზით ცნობიერების ამაღლება და კლიმატის ცვლილებასა და ქვეყნის მდგრად განვითარებაზე მისი მუდმივი გავლენის ხაზგასმა;
- სივრცის დაგეგმარების სფეროში მოქმედ სახელმწიფო, აკადემიურ და კერძო სააგენტოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობა.

³ 2022 წლის 29 დეკემბრის დადგენილება #604 „საქართველოს სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის „საქართველო 2030“ შემუშავების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 მარტის #89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5675790?publication=0>

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელი, თბილისის მუნიციპალიტეტის მერი და „სააგენტო“-ს ხელმძღვანელი (იხ. დანართი 1).

4. „გეგმა“ მაღალი დონის პოლიტიკურ პრიორიტეტად განიხილება. ის ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებული მიზნების მიწვევას შეუწყობს ხელს გრძელვადიანი სივრცითი განვითარების ხედვის ჩამოყალიბების გზით ხედვა გააერთიანებს საკვანძო დარგობრივ სტრატეგიებს, რომლებიც ფოკუსირებული იქნება გარე და შიდა რეგიონულ ინტეგრაციაზე, შეკავშირებულობაზე, კლიმატის მედეგობაზე და დეკარბონიზაციაზე, ქვეყნის განვითარების პოტენციალზე, ამჟამად არათანაბარი განვითარების, გარემოს რისკების, საზოგადოებრივი დინამიკისა და საკვანძო, სამომავლო სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინებაზე. „გეგმა“ ერთმანეთთან დააკავშირებს სხვადასხვა სექტორის პოლიტიკებს და ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებულ ძირითად პრიორიტეტებს, რეგიონულ ინტეგრაციას და მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

5. 2023 წლის აპრილში სამინისტრომ, სააგენტოს ორგანიზებით, თბილისში პირველი სივრცითი ფორუმი ჩაატარა. ფორუმს ესწრებოდნენ სამინისტროების წარმომადგენლები, სახელმწიფო რწმუნებულები, მერები, სხვა მხარდამჭერი უწყებების და ორგანიზაციების წარმომადგენლები. ფორუმის მიზანი იყო „გეგმის“ შემუშავებასთან დაკავშირებით კონსულტაციების პროცესის დაწყება და შინაარსობრივი რეკომენდაციების გაცემა. მონაწილეობა მიიღო დაახლოებით სამოცამა ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტმა. მათ მოინხულეს ზოგიერთი საკვანძო საკვლევი არეალი, დიდწილად თბილისის აგლომერაციის ფარგლებში და შემდეგ, სამუშაო ჯგუფებში განიხილეს გეგმის ძირითადი საკითხები: ა) ტრანსნაციონალური კონტექსტი, განსახლების სისტემა და ურბანიზაციის პროცესი; ბ) სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურა; გ) ეკონომიკური განვითარება; დ) სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი კანონმდებლობა, ინსტიტუციები და პოლიტიკა; ე) სოციალურ-კულტურული განვითარება და საცხოვრისი; ვ) ბუნებრივი გარემოსა და კლიმატის ცვლილების მართვა.

6. ამ ეტაპზე სააგენტო გეგმავს „გეგმის“ შემუშავებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვას წინამდებარე „დავალების“ შესაბამისად. აღნიშნული პროცესისთვის გამოყოფილია სამთავრობო ფონდები და სავარაუდოდ, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსება.

ბ. ზოგადი მიმოხილვა

7. ადმინისტრაციული მოწყობა. საქართველოში არის ცხრა მხარე (სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი), დედაქალაქი თბილისი და ორი ავტონომიური რესპუბლიკა⁴ (აჭარა, აფხაზეთი), მათგან აფხაზეთი ოკუპირებულია, ასევე, ოკუპირებულია ყოფილი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული⁵. საქართველოში ხუთი თვითმმართველი ქალაქია (თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის და ფოთის მუნიციპალიტეტები) და კიდევ 59 მუნიციპალიტეტი⁶. ოკუპირებული ადმინისტრაციული ერთეულები განისაზღვრება თანახმად საქართველოს კანონისა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.

8. გეოგრაფია და ტოპოგრაფია. საქართველოს რელიეფი და კლიმატი საკმაოდ მრავალფეროვანია. ქვეყნის ძირითადი გეოგრაფიული მახასიათებელია მაღალმთიანი ზონები. ჩრდილოეთით, დიდი კავკასიონის მთაგრეხილზე მყინვარები ჭარბობს, ხოლო სამხრეთით მცირე კავკასიონის მთები თურქეთისა და სომხეთის საზღვრებს მიუყვება. ლიხის ქედი კი ქვეყანას აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ჰყოფს. დროთა განმავლობაში ამ ბუნებრივმა ბარიერებმა რეგიონებს შორის კულტურული და ლინგვისტური სხვაობების წარმოქმნას შეუწყო ხელი. მთიან ტერიტორიებზე მდებარეობს სოფლები, რომლებიც ზამთრობით ფაქტობრივად იზოლირებულნი არიან მათი ადგილმდებარეობის და სატრანსპორტო მიუწვდომლობის გამო. სტიქიური ბუნებრივი მოვლენები მათ შორის მიწისძვრა და მეწყერი მაცხოვრებლების სიცოცხლესა და ქონებას არსებით საფრთხეს უქმნის გარკვეულ ტერიტორიებზე. საქართველოში კლიმატური ზონები ძირითადად განისაზღვრება შავი ზღვასთან და კავკასიონის ქედიდან დაშორების მანძილით. დასავლეთ საქართველოს ლანდშაფტში გვხვდება როგორც დაბლობის ჭაობიანი ტყეები, ისე ჭაობები, ფოთლოვანი ტყეები, მუდმივად დათოვლილი მთები და მყინვარები, ხოლო ქვეყნის აღმოსავლეთით მრავლადაა მშრალი და ნახევრად გამოფიტული დაბლობები. საქართველოს სანაპირო ზოლი 310 კმ-ია, აქედან 200 კილომეტრი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მდებარეობს, დანარჩენი კი - გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და სამხრეთში - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

9. დემოგრაფია და საზოგადოება. მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყნის მოსახლეობა არსებითად შემცირდა - 1989 წელს დაფიქსირებული 5.4 მილიონიდან 2023⁷ წლის მონაცემებით, 3.73 მილიონ ადამიანამდე, რაც განპირობებულია მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის დაბალი მაჩვენებლითა და მასშტაბური ემიგრაციით. 1990-იანი წლების დასაწყისში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად (აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების ომი) იძულებით გადაადგილებულთა დიდი ტალღა კიდევ უფრო გაიზარდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ. 2023 წლის მონაცემებით, 92,000 ოჯახი რეგისტრირებულია იძულებით გადაადგილებულთა (შემდგომში „ღევნილი“) სტატუსით, მთლიანობაში 292,887 პირს⁸ ესაჭიროება განსაკუთრებული მხარდაჭერა. საქართველოს დაახლოებით 1.4 მილიონი მოქალაქე

⁴ <https://www.gov.ge/regions-of-georgia>

⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/download/19132/8/ge/pdf>

⁶ <http://mreg.reestri.gov.ge/index.php>

⁷ <https://www.geostat.ge/en/modules/categories/316/population-and-demography> 3.7 მილიონი ქართველი და დამატებით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმყოფება 0.2 მილიონი, ცხინვალში 0.02 მილიონი, ხოლო 1.4 მილიონი საზღვარგარეთ.

⁸ <https://idp.gov.ge/idps/>

საზღვარგარეთ ცხოვრობს. 2015-18 წლებში⁹ ფულადმა გზავნილებმა საშუალოდ დაახლოებით ქვეყნის მშპ-ს 11% შეადგინა. საქართველო დაბერებად ერებს მიეკუთვნება. პროგნოზის მიხედვით, 2030 წლისთვის 65 და მეტი ასაკის ადამიანთა წილი 18.9% მიაღწევს, 2050 წლისთვის¹⁰ პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება - 25,3%-მდე (ყოველი მეოთხე ადამიანი). ასეთ დემოგრაფიულ ტენდენციებს, განსაკუთრებით მთიან მხარეებში, დასახლებები შემცირებისკენ და დაცლის რისკებისკენ მიჰყავს. ასევე აღსანიშნავია გამძაფრებული სოციალური გამოწვევები, როგორცაა სამოქალაქო ჩართულობა, ჯანდაცვის მიუწვდომლობა და თაობათაშორისი ბალანსი. 2021 წლისთვის საქართველოში ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI)¹¹ 0.8 იყო, რის გამოც ის საკმაოდ მაღალ კატეგორიაში მოექცა და 191 ქვეყნიდან და ტერიტორიიდან 63-ე ადგილზე გავიდა. 2000-დან 2021 წლამდე, საქართველოს ადამიანის განვითარების ინდექსი 0.702-დან 0.802-მდე გაიზარდა, დაფიქსირდა მნიშვნელოვანი, 14.2%-იანი ცვლილება. აბსოლუტური სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის წილი ასევე არსებითად შემცირდა - 2013 წელს დაფიქსირებული 26.2%-დან 17.5%-მდე 2021-ში¹², თუმცა მაჩვენებელი მაინც საყურადღებოა, რადგან ბევრი ქართველი არ არის დასაქმებული და ღარიბ სოფლებში ცხოვრობს. 2021 წელს ჯინის ინდექსი საქართველოში 34.2¹³ იყო.

10. ურბანული სისტემა და დასახლებები. 2000-იანი წლებიდან ურბანიზაციის მაჩვენებელი ნელა, მაგრამ სტაბილურად იზრდება: 2009 წელს დაფიქსირებული 54.9%-დან 2023 წლის¹⁴ - 60.3%-მდე. ურბანული სისტემის მხრივ დომინანტია დედაქალაქი - თბილისი (1.2 მილიონი მცხოვრები¹⁵), რაც მთელი ქვეყნის ურბანული მოსახლეობის ნახევარზე მეტია და ქვეყნის მშპ-ს 51,2% შეადგენს (2019 წ.). ამ მხრივ თბილისის მოსდევს ისეთი ქალაქები, როგორებიცაა ბათუმი (172,000 მოსახლე) და ქუთაისი (134,000 მოსახლე). ყველა სხვა ურბანული ცენტრი პატარაა და მათი ეკონომიკური გასაქანი შეზღუდულია. ზოგადად, ქალაქებს გარეთ ეკონომიკური საქმიანობები არ შეინიშნება. თბილისის ურბანული აგლომერაცია მოიცავს რუსთავს (130,000 მოსახლე) და მცირე ქალაქებს - გარდაბანსა და მცხეთას, რომლებიც ფუნქციურად სულ უფრო მეტად უკავშირდებიან დედაქალაქს (ინფრასტრუქტურა, მომუშავე პერსონალისა და სტუდენტების მიმოსვლა, ეკონომიკური კავშირები). ყოველდღიურად, დაახლოებით 30,000 მგზავრი გადაადგილდება რუსთავსა და თბილისს შორის, რასაც ემატება მიმდებარე სოფლების მგზავრები. ეს განსაკუთრებული წნეხია ქალაქის ინფრასტრუქტურისთვის. საქართველოს აკლია ურბანული ცენტრები, რომლებიც პერიფერიებისათვის სუბრეგიონული სოციალური და ეკონომიკური ჰაბის ფუნქციას შეასრულებდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პატარა ქალაქების უმეტესობამ მკვეთრი დეინდუსტრიალიზაცია განიცადა. მათ აკლიათ ოპტიმალური სიმჭიდროვე, რაც ამძაფრებს საბაზისო სერვისებთან და კომუნალური ქსელების სტაბილურობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. საქართველოში ურბანულ და სოფლის ტერიტორიებზე შემოსავლის, საცხოვრისის ხარისხის და ცხოვრების სტანდარტის მხრივ სხვაობები კვლავ თვალშისაცემია.

⁹ <https://documents1.worldbank.org/curated/en/243691579100987298/pdf/Migration-and-Remittances-in-the-Former-Soviet-Union-Countries-of-Central-Asia-and-the-South-Caucasus-What-Are-the-Long-Term-Macroeconomic-Consequences.pdf>

¹⁰ https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/2.%20Ageing-Engl_Print_F.pdf

¹¹ <https://hdr.undp.org/data-center/specific-country-data#/countries/GEO>

¹² <https://www.geostat.ge/en/modules/categories/192/living-conditions>

¹³ <https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI?locations=GE>

¹⁴ <https://www.geostat.ge/en/modules/categories/41/population>

¹⁵ <http://regions.geostat.ge/regions/tbilisi.php?lang=en>

11. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და შემარბილებელი ფაქტორები. დღევანდელი პროგნოზის თანახმად, საქართველოში განსაკუთრებულად მაღალ-ტემპერატურული დროის მონაკვეთები გახშირდება, რაც მოსალოდნელია რომ საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და საარსებო წყაროებს. ასევე მოსალოდნელია მცინვარების დნობის ტემპის ზრდა, რაც სავარაუდოდ, შეცვლის რეგიონის ჰიდროლოგიურ რეჟიმს, გაზრდის დატბორვებისა და გვალვების რისკებს. მაღალი ტემპერატურა და ჰიდროლოგიური რეჟიმების ძვრები საბოლოო ჯამში, საფრთხეს უქმნის ადგილობრივ ეკოსისტემებს. ტემპერატურის ზრდა საფრთხეს შეუქმნის სოფლის მეურნეობას, მისგან მიღებული შემოსავლებისა და არსებობის სხვა წყაროებს. მდინარეების დინების სიჩქარის შემცირება და საშუალო ტემპერატურის მომატება გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებში, სამომავლოდ გაზრდის წყლის დეფიციტის რისკს, რაც აისახება საქართველოს ენერგოსისტემაზე, რომელიც შიდა ჰიდროენერგეტიკულ წყაროებზეა დამოკიდებული. ქვეყანაში მრავლადაა მოწყვლადი ადგილები - „ცხელი წერტილი“ - მათთვის აუცილებელია რომ ინდივიდუალური სტრატეგიები შემუშავდეს. ეს სტრატეგიები საფუძვლად დაედება მეტად კლიმატმდებელი სანაპირო ზოლისა და მთიანი ტერიტორიების განვითარებას, რომლებზეც განსაკუთრებულ უარყოფით გავლენას ახდენს ზღვის დონის მატება და სტიქიური ბუნებრივი და გეოლოგიური მოვლენები. საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია კლიმატის ცვლილების ასპექტების გათვალისწინება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა არ წარმოქმნის დიდი რაოდენობით სათბური გაზებს, ამ მხრივ მაინც აღმავალი ტენდენცია (2017 წელს¹⁶ დაფიქსირდა 17.8 მეგატონა/წელიწადში) შეინიშნება.

12. რეგიონული ინტეგრაცია და ტრანსნაციონალური კონტექსტი. სტრატეგიული მდებარეობით საქართველო წარმოადგენს კავკასიის რეგიონალურ ცენტრს და მისი სამომავლო სივრცითი განვითარება დაკავშირებულია ფართომასშტაბიან რეგიონულ დინამიკასთან. ევროკავშირში ინტეგრაციის¹⁷ ყოვლისმომცველ პოლიტიკურ მიზანს, ჩინეთის ერთი სარტყლისა და ერთი გზის ინიციატივის შემუშავებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან საქართველო იძენს ცენტრის და ლოგისტიკის კარიბჭის ფუნქციას ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის. სხვა საკითხებთან ერთად, ქვეყანა აქტიურადაა ჩართული შუა დერეფნის ინიციატივაში, ისტორიული აბრეშუმის გზის აღორძინებასა და ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRACECA) პროგრამაში. თუმცა ამ სატრანზიტო ფუნქციის პერსპექტივას, მის მიმზიდველობას და შეკავშირებულობას საფრთხე ექმნება, რადგან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ლოგისტიკური საქმიანობები და საზღვრის მენეჯმენტი გამოწვევების წინაშეა. გეოპოლიტიკური სიტუაციის ცვალებადობა და მოსაზღვრე ტერიტორიებთან თანამშრომლობის რისკი სულ უფრო მზარდია. უკრაინაში მიმდინარე ომი საფრთხეს უქმნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და სატრანზიტო დერეფნების სტაბილურობას. 2020 წლის სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის ფედერაციის სამხრეთში სამშვიდობო შეთანხმებამ შესაძლოა საფუძველი ჩაუყაროს ამჟამად დახურული დერეფნების გახსნას, რაც საქართველოს სატრანზიტო როლის მიმართ კონკურენციას გაზრდის. მთავრობის პოლიტიკის კიდევ ერთი არსებითი ელემენტია ტერიტორიული

¹⁶ <https://eu4climate.eu/georgia/>; <https://mepa.gov.ge/En/Files/ViewFile/50123>

¹⁷ მუხლი 4, პუნქტი 3. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის მიზნები: „საქართველოს სივრცის დაგეგმარების ძირითადი მიზნები ხელს უნდა უწყობდეს მის სრულფასოვან ინტეგრაციას ევროპული და საერთაშორისო განვითარების ძირითად მოთხოვნებთან“. ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა (კოჰეზიის პოლიტიკა) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მთლიანობის აღდგენისკენ სწრაფვა, რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დეოკუპაცია და მათი სრული რეინტეგრაცია.

13. ტრანსფორმაციული და დაგეგმილი პროექტები. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველომ მსხვილი ინფრასტრუქტურული ინვესტიციები განახორციელა, რათა გაეზარდა წვდომა გლობალურ ბაზრებზე და საფუძველი ჩაეყარა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის¹⁸. მსგავსი ფართომასშტაბიანი პროექტები ქმნიან ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სტრუქტურებს და განვითარების ძლიერ იმპულსებს, რომელსაც ექნებათ გრძელვადიანი გავლენა ქვეყნის სივრცით მოწყობაზე, გადანაწილება რა მიღებული სარგებელი, ჩამოყალიბდება ახალი ტერიტორიული დინამიკა, რაშიც იგულისხმება, სატრანსპორტო კვანძების განახლება-გამოცოცხლება. ამავდროულად შეიძლება მიღმა დარჩეს პატარა დასახლებები, რომლებიც ვერ ისარგებლებენ, ახალი პროექტებით წარმოქმნილი ეკონომიკური სიკეთებით. მზარდი ურთიერთდაკავშირებული ქსელის განვითარების ხელშემწყობ ახალ პროექტებს შორისაა აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალი (ამჟამად მშენებარე, დასრულება 2025 წლისთვის), ჩრდილო-სამხრეთის დერეფანი, დრმაწყლოვანი პორტი ანაკლიაში, დიდი ჰიდროელექტროსადგურები ხუდონში, ნენსკრასა და ნამახვანში, შავი ზღვის წყალქვეშა კაბელები (ელექტრონული და ციფრული¹⁹), რკინიგზის განახლება და თბილისსა და ქუთაისში დაგეგმილი ლოგისტიკური ცენტრები. ასევე მიმდინარეობს დამატებითი საგზაო კავშირების თანდათანობითი მშენებლობა აღმოსავლეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-ჩრდილოეთის დერეფნების გასწვრივ.

14. შრომის სექტორი და ადამიანური კაპიტალი. უმუშევრობის დონე დაახლოებით 19%-ია²⁰, რაც მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ შემცირების ტენდენცია სახეზეა. სტრუქტურული უმუშევრობა, დიდი პრობლემაა, ასევე პრობლემაა სამუშაოების ხარისხი. საქართველოში სამუშაო ადგილები უმეტესწილად ტრადიციულ სექტორებში იქმნება, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობაში (დარგის წილი ქვეყნის მშპ-ში 10%-ზე ნაკლებია, დასაქმებულების წილი - 41%). ამ სექტორში მიწის პატარა ნაკვეთები (1990-იანი წლების მიწის რეფორმა), შესაბამისი უნარების არქონა, სუსტად განვითარებული მიწის ბაზარი და ფრაგმენტული მიწოდების ჯაჭვი, აფერხებს დარგის განვითარების ეფექტიანობას, რაც შედეგად გამოიხატება რეგიონებში არსებული სიღარიბის შედარებით მაღალი დონით. მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs) საქართველოს ეკონომიკის საყრდენია. პრიორიტეტულია უნარების განვითარება და სამუშაო ძალის მობილობის უზრუნველყოფა, რაც შესაძლოა აისახოს სივრცით მოწყობაზე. კერძოდ, სოფლის ეკონომიკაში შეიქმნას რაოდენობრივად უფრო ნაკლები, მაგრამ მეტად პროდუქტიული სამუშაო ადგილები, ხოლო ურბანულ ეკონომიკაში, ურბანული ცენტრების შესაძლო გამოცოცხლებით, გაიზარდოს დასაქმება. უნდა გაგრძელდეს სამუშაო ადგილების შექმნა გადამამუშავებელი წარმოებისა და მრეწველობის სფეროებში, რისთვისაც საჭიროა სტრატეგიების შემუშავება კონკრეტულად ყოფილი საწარმოო ტერიტორიების რეაბილიტაციისთვის, ინოვაციებისა და ციფრული ეკონომიკის განვითარებისთვის. ბოლო ორი წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდა განსაკუთრებით მაღალი იყო და შეადგინა 10%-ზე მეტი (მშპ-ს რეალური ზრდა) 2021 და 2022 წლებში და კვლავ რჩება 7.5%-ზე მაღალი 2023 წლის პირველი ორი კვარტლის განმავლობაში. ქვეყნის ეკონომიკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტურიზმს. ამ სექტორის წილი

¹⁸ შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გაფორმდა ევროკავშირთან, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან.

¹⁹ 2022 წლის 17 დეკემბერს საქართველოს, აზერბაიჯანს, უნგრეთსა და რუმინეთს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/statement_22_7807

²⁰ <https://www.geostat.ge/en/modules/categories/683/Employment-Unemployment>

ქვეყნის მშპ-ში დღეს 10%-ია (გადააჭარბა პანდემიამდელ დონეს 2022 წელს) და შესაბამისად, ერთ-ერთი სტრატეგიული და წამყვანი პრიორიტეტია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2022 წლის მონაცემებით 2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც რეკორდულ მაჩვენებელია და ეს ტენდენცია კიდევ უფრო მზარდია 2023 წელს. საქართველოს გადაზიდვები 2023 წლის პირველ ორ კვარტალში 20.1% გაიზარდა წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით. ამ ყოველივე ზემოთჩამოთვლის, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყნის სივრცით განვითარებაზე. სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის მისაღწევად, აუცილებელია შესაძლებლობების მაქსიმალურად გაზრდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და იმის გათვალისწინება, თუ როგორ განაწილდება წარმოქმნილი დოვლათი რეგიონებში.

15. ბუნებრივი რესურსები და ლანდშაფტი. საქართველოს უდიდესი ნაწილი დაფარულია ბუნებრივი ლანდშაფტით. ქვეყნის²¹ 11.4%-ს ფარავს 40-ზე მეტი დაცული ტერიტორია (დაგეგმილია ამ პროცენტული მაჩვენებლის 14%-მდე გაზრდა) და 26,060 მდინარე. ამჟამად საქართველოში არის ოთხი საქართველოს მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია (რამსარის უბნები²²) და კიდევ 39 ტერიტორია, რომლებიც ზურმუხტის ქსელის ნაწილად არის მოხსენიებული 2017-2018 წლების მთავრობის ინიციატივაში, რაც პირველი მსგავსი პრეცედენტია კავკასიის რეგიონში²³. საქართველო გამოირჩევა უნიკალური ეკოსისტემითა და ბიომრავალფეროვნებით²⁴, მაგრამ მის გარკვეულ ნაწილს ქაოტური სეზონური ტურიზმის და კლიმატის გავლენის გამო ანთროპოგენული ხასიათის საფრთხე ემუქრება. ადამიანის ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე გამოიხატება მუნიციპალური მყარი ნარჩენების ზრდაში, ჰაერის დაბინძურებაში (უმეტესწილად, ქვემო ქართლში, იმერეთსა და მცხეთა-მთიანეთში), გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაღვრაში მდინარეებსა და ნიადაგში.

ტერიტორიის დაახლოებით 43% დაფარულია ტყეებით, ხოლო ალპური/სუბალპური ზონა დაახლოებით 10%-ია. მიუხედავად იმისა, რომ ტყის ფართობი შედარებით იკლებს, მას დიდი პოტენციალი აქვს ხის მრეწველობის განვითარებისა და სათბური აირების შთანთქმის ხელშეწყობაში, ბუნებრივი საფრთხეების პრევენციაში და ბიომრავალფეროვნების განვითარებაში. იმისათვის რომ, ბუნებრივი აქტივების ეკოსისტემების მომსახურება, რასაც ეს აქტივები იძლევიან და სარგებელი, რომელსაც ადამიანი და ბუნება იღებს შენარჩუნდეს და განვითარდეს საჭიროა დეგრადირებული წყალშემკრები აუზების და სხვა ეკოლოგიურ ერთეულების აღდგენას და შენარჩუნება ინტეგრირებულ სივრცით ხედვაში.

16. კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა, იდენტობა. საქართველო მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებითა და ღირსშესანიშნაობებით, ლიტერატურული, არქიტექტურული, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნებით, გასტრონომიული და მეღვინეობის

²¹ <https://www.geostat.ge/en/modules/categories/565/environmental-indicators;>
<https://www.geostat.ge/en/modules/categories/73/environment-statistics>

²² <https://www.ramsar.org/wetland/georgia>

²³ https://www.nacres.org/wm.php?page=news_en&id=4

²⁴ საქართველო ერთ-ერთია მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილებიდან. აქ გვხვდება ზუთხისებრთა სახეობა, რომელიც გადაშენების პირასაა. აღნიშნული თევზები მდინარეების საშუალებით კვლავ გადიან შავ ზღვაში, მაგრამ ხრეშის მოპოვება, ჰიდროენერგეტიკის განვითარების შედეგად მნიშვნელოვანი მონაკვეთების დამრობა და ნალექის რეჟიმების ცვლილება მათზე დიდ ნეგატიურ გავლენას ახდენს. საქართველო მდებარეობს ასევე მტაცებელთა მიგრაციის მარშრუტზე, რომლებიც ყოველწლიურად ბათუმის ვიწრო გასასვლელში გადიან ევრაზიიდან აფრიკის მიმართულებით. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაფართოება და აჭარის სანაპიროს მზარდი განაშენიანება შეიძლება პროცესზე ძალიან უარყოფითად აისახოს.

ტრადიციებით. ოთხი ძეგლი UNESCO-ს არამატერიალური მემკვიდრეობის²⁵, ხოლო ოთხი - UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი; 14 ძეგლი 2007 წლიდან²⁶ საცდელ სიაშია. თუმცა ზოგიერთი ძეგლის გარშემო მიმდინარე დაუგეგმავი განაშენიანება საფრთხეს უქმნის მათ კონსერვაციას. 6000-მდე ობიექტი მთავრობას შეტანილი აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში. ქვეყანაში მრავალი ადრექრისტიანული და ქრისტიანული ეპოქის არქეოლოგიური ძეგლია. ძეგლების კონსერვაცია და პოპულარიზაცია გამოწვევაა. საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ეფექტიანი მართვისათვის საჭიროა შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება, მოვლა-პატრონობის მაღალი ხარჯებისა და შეზღუდული სახელმწიფო ბიუჯეტის გათვალისწინებით. ეს ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას (რესტავრაცია, გამწვანება ა.შ.), საფუძველს ჩაუყრის ახალ ეკონომიკურ საქმიანობებს, მოსახლეობა დაინტერესდება ობიექტების მონახულებით, გაიზრდება სოციალური ერთობის და ეროვნული იდენტობის განცდა, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებია. საქართველოს რელიეფიდან გამომდინარე, აქვს მრავალფეროვანი მიკროლანდშაფტური სივრცითი მოწყობის ტრადიცია, ადგილობრივი კულტურების გეოგრაფიული პირობების შესაბამისად.

17. რეგიონული გეგმარება და გეგმების რეალიზება. 2019 წელს, სივრცითი დაგეგმვის კანონმდებლობით უკეთ რეგულირებისთვის, ძალაში შევიდა ახალი კოდექსის ძირითადი ნაწილი. სააგენტოს შექმნა, რომელსაც აქვს კონკრეტული მისია, ამყარებს სახელმწიფოს პოზიციას სივრცითი დაგეგმვის მაღალ პრიორიტეტში. ამ ეტაპზე, საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულების 15%-ზე ნაკლებს აქვს სივრცითი და/ან ურბანული განვითარების გეგმა, ძირითადად მსხვილ ქალაქებს, ქვეყნის დანარჩენი რეგიონები და ლანდშაფტური ნაწილი კი სივრცითი დაგეგმვის გარეშე, შედარებით ქოტურად და არათანაბრად ვითარდება. დაგეგმვის შესაძლებლობები ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, საუნივერსიტეტო განათლება ამ დარგში არ არსებობს, დასაწერია ინტეგრირებული მიდგომა, ვინაიდან, დარგობრივი სამინისტროები თავის უფლებამოსილებას ძირითადად ცალ-ცალკე ახორციელებენ. საქართველომ ეს-ესაა გააძლიერა დეცენტრალიზაციის პროცესი მყარი სამართლებრივი საფუძვლებით. ამ ეტაპზე სააგენტო ეხმარება მუნიციპალიტეტებს სივრცითი გეგმების შემუშავებაში, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არსებობს ერთიანი რეგიონული სივრცითი ხედვა, რის გამოც გეგმარებით დოკუმენტებში ნაკლებად ხდება ლანდშაფტების, წყალგამყოფი ზოლების და სხვა ეკოლოგიური ელემენტების დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების რეგიონული ინტეგრაცია. მუნიციპალური სივრცითი დაგეგმვა და თანამშრომლობა ამ მხრივ განვითარების პროცესშია. მუნიციპალიტეტების დონეზე პროფესიული შესაძლებლობის სიმწირის გამო, არსებული სივრცითი გეგმების განხორციელება შეზღუდულია. ეს მიმართულება ცალსახად უნდა გაძლიერდეს.

²⁵ <https://ich.unesco.org/en/state/georgia-GE>: ჭიდაობა, სამი სხვადასხვა ტიპის დამწერლობის სისტემის გადარჩენილი კულტურა, ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ტრადიცია და ქართული პოლიფონია.

²⁶ <https://whc.unesco.org/en/statesparties/ge>: კულტურული მემკვიდრეობა (3): გელათის მონასტერი, მცხეთის ისტორიული ძეგლები, ზემო სვანეთი და ბუნების ძეგლი(1): კოლხეთს ტროპიკული ტყეები და ჭაობები.

გ. გეგმის მიზნები, ამოცანები და მიდგომები

18. გეგმის ზოგადი მიზანია ქვეყნის სივრცითი სტრუქტურის შეჯერება მთავრობის მიერ გატარებულ გეგმარებით პოლიტიკასთან, რომელიც ორიენტირებულია საქართველოს საერთაშორისო სატრანზიტო, სავაჭრო და სატრანსპორტო კვანძის პოტენციალზე, ტურისტული დანიშნულების მიმზიდველ ადგილზე და მომსახურებაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებაზე, სადაც წარმოდგენილი იქნება თანამედროვე და ექსპორტზე ფოკუსირებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სექტორები. ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტები, განსაკუთრებით კი ამჟამად მიმდინარე აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალი, რკინიგზა, ენერგეტიკული პროექტები, ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძზე გამავალი გზა და ანაკლიის დრმაწყლოვანი პორტი, მომავალი ურბანიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა იქნება. საკვანძო ურბანულ არეალებში აგლომერაციული ეკონომიკის განვითარება, სატრანზიტო ღერეფნებსა და ლოგისტიკურ ცენტრებში მეტ ბიზნეს სუბიექტებს მოიზიდავს. ურბანიზაცია დამატებითი ეკონომიკური ზრდის საშუალებას შექმნის, ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილებისა და ჯამური პროდუქტიულობის გაზრდას. შესაბამისად, „გეგმის“ ზოგადი მიზანია საჯარო და კერძო ინვესტიციების, განაშენიანების და ტერიტორიების განვითარების ჰარმონიზება და მოწესრიგება. იმავდროულად, უმნიშვნელოვანესია, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების დაცვა, საბაზისო მომსახურებებზე საყოველთაო წვდომის ხელშეწყობა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია.

19. „გეგმის“ კონკრეტული ამოცანებია:

- საქართველოს პოზიციონირება რეგიონულ მოთამაშედ და სატრანზიტო-ლოგისტიკურ ჰაბად, ევროპასა და აზიას შორის, მეზობელ ქვეყნებთან კოორდინაციის გზითა და ევროინტეგრაციის გათვალისწინებით.
- ტერიტორიული, სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური ერთიანობის აქტიური ხელშეწყობა ყველა რეგიონში, გაუმჯობესებული სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურისა და სერვისების მიწოდების დაგეგმვის გზით.
- კლიმატმდეგობის უზრუნველყოფა და დეკარბონიზაციის პროცესის დაჩქარება, კომპაქტური ქალაქების დაგეგმვა, ყოფილი სამრეწველო ტერიტორიების განახლებითა და მობილობის სისტემების ხელშეწყობით.
- ქვეყნის ენერგო დამოუკიდებლობის და ენერგოუსაფრთხოების სტრატეგიების მხარდაჭერა.
- ეროვნული სივრცითი პოლიტიკის კოორდინაციის როლის გაზრდით საქართველოს გადაყვანა დარგობრივი გეგმარებიდან ტერიტორიული დაგეგმვის ინტეგრირებულ მიდგომაზე.
- როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორებიდან შემოსული ინვესტიციების გადანაწილების წახალისება, საფუძვლის ჩაყრა ეროვნული და საჯარო კაპიტალდაბანდების პროგრამებისათვის, სახელმძღვანელო მითითებების გაცემა რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე სამომავლო სივრცითი და მიწათსარგებლობის გეგმების განხორციელებისას.
- თბილისის ურბანული არეალის (დაკავშირებული მუნიციპალიტეტების ჩათვლით) განვითარების იმგვარი ხელშეწყობა, რომ დედაქალაქისკენ მიგრაციის პროცესი იყოს მართვადი და მის მაცხოვრებლებს წვდომა ჰქონდეთ უფრო მაღალი ხარისხის საცხოვრისზე, ტრანსპორტსა და მომსახურებაზე.
- მთავარი აგლომერაციების, პატარა ქალაქებისა და მესამე დონის ურბანული ცენტრების ურბანული ზრდის სცენარების იდენტიფიცირება (განვითარებების შესაძლებლობების

ჩათვლით), თუ რამდენად შეუძლიათ მათ შეასრულონ სოფლების განვითარების ხელშეწყობის მამოძრავებელი ძალის როლი.

- სივრცის დაგეგმარების გეგმის შემუშავება მდგრადი განვითარების ოთხი ძირითადი პოსტულატის მიხედვით: ეკონომიკური ზრდა, სოციალურ-კულტურული კონტექსტი, გარემოს დაცვა და კულტურა.

20. „გეგმა“ განიხილავს საშუალო (2030 წ.) და გრძელვადიან პერსპექტივებს (2040 წ.) იმ დაშვებით, რომ იმ პერიოდისთვის (I) საქართველოს მოქალაქეები ხელმისაწვდომ რესურსებს გამოიყენებენ ოპტიმალურად, (II) წარმატებულად წარიმართება სექტორული პოლიტიკის ინტეგრაცია, (III) თანხვედრაში მოვა ეროვნული სტრატეგიული და ადგილობრივი განვითარების მიზნები, (IV) დაფიქსირდება პროგრესი მდგრადი განაშენიანების კუთხით და ამ მხრივ შემცირდება ნახშირბადის მოხმარება. „გეგმა“ შემუშავდება მთელი ქვეყნისათვის, რაშიც იგულისხმება 69,700 კმ² და შავი ზღვის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და ტერიტორიული წყლები (EEZ).

21. რუსეთის მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთი) ოკუპაცია ზღუდავს ამ ტერიტორიებზე ფიზიკურ წვდომას და მონაცემთა ხელმისაწვდომობას, რაც დაგეგმვის მხრივ ხელისშემშლელი ფაქტორია. თუმცა აღნიშნული რეგიონები საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის ზოგად ანალიზში შეძლებისდაგვარად უნდა იყოს გათვალისწინებული (სატელიტურ მონაცემთა წყაროები, მონაცემები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამებიდან და ა.შ.). აღნიშნულის მიზანია ამ ტერიტორიების დეოკუპაციის შედეგების და იმის გააზრება, თუ რას შეიძენენ ისინი საქართველოსთან რეინტეგრაციით (ეკონომიკური შედეგი, შეკავშირებულობა, განათლება, ჯანდაცვა, ცხოვრების ხარისხი, ა.შ.). ანალიტიკურ სცენარში ავტომატურად მოიაზრება მთელი საქართველო (ამ ტერიტორიების თანდათანობითი რეინტეგრაციის დაშვებით) და, შიდა გამოყენების მიზნებისთვის, გაანალიზებს ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ოკუპაციის გაგრძელების სცენარით.

22. „გეგმა“ შემუშავდება ყველა შესაბამისი ეროვნული სამართლებრივი მოთხოვნის გათვალისწინებით. კოდექსის თანახმად, გეგმის დანიშნულებაა რეგულაციების სრულყოფა, მთელი ქვეყნის მასშტაბით სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების ხელშეწყობა, რეგიონულ დონეზე კოორდინირებული სივრცითი გეგმებისთვის წინაპირობების დადგენა. სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი სახელმძღვანელო პრინციპები გაწერილია კოდექსის მე-8 მუხლში, ხოლო გეგმის შინაარსი დეტალურად განხილულია მუხლებში 16 და 17 (იხ. დანართი 1). 260 დადგენილება დანართებთან ერთად წარმოადგენს ძირითადი დოკუმენტაციის ნაწილს, რომლითაც განისაზღვრება წარმოსადგენი გეგმის შინაარსი, შესრულების პროცესი და ინდიკატორების მატრიცის შემადგენლობა. „გეგმის“ ფუნქციაა დარგობრივ გეგმებისა და სტრატეგიების მიმართულებების ზოგადი განსაზღვრა და შეჯერებული, სინერგიული ეფექტის მქონე სისტემად ჩამოაყალიბება. განახლებული გეგმა შეთანხმდება „სააგენტო“-სა და სამთავრობო კომისიასთან, შემდგომ კი დამტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ. ამის შემდეგ, დოკუმენტს მიენიჭება „ნორმატიული ფუნქცია“ და ის გახდება საქართველოს ეროვნული სამართლებრივი სისტემის ნაწილი. გეგმაში განსაზღვრული საკითხები უნდა აისახოს ქვედა დონის ყველა გეგმარებით ინსტრუმენტში და დარგობრივი სტრატეგიები მათთან შეჯერდეს.

23. კონსულტანტი გაითვალისწინებს საერთაშორისო კონვენციებსა და პროტოკოლებს, რომელთა ხელმომწერიც საქართველოა (იხ. დანართი 1). „გეგმა“ დაიცავს საერთაშორისო

გეგმარებით სტანდარტებს და საუკეთესო პრაქტიკებს. ის შემუშავდება მდგრადი განვითარების საყოველთაოდ აღიარებული წესების შესაბამისად, რაც გულისხმობს ოპტიმალური ბალანსის დაცვას, ეკოლოგიას, ეკონომიკას და საზოგადოებას შორის კარგი მმართველობის გათვალისწინებით; 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის, განსაკუთრებით, მდგრადი განვითარების მიზნების (SDG 11), ახალი ურბანული დღის წესრიგის (2016 წელი), ევროკომისიის მწვანე შეთანხმებისა (2019 წელი) და ლაიფციგის ახალი ქარტიის განმარტების შესაბამისად (2020 წელი).

24. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და გარემოს მედეგობა მდგრადი ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა უნდა იყოს. ნახშირბადის გამოყენების შემცირებამ შესაძლებელია წინ წამოწიოს მწვანე ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები კლიმატთან ადაპტაციას კი არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სამომავლო ინვესტიციების ტექნიკურ-ეკონომიკური მდგრადობისა და ქვეყნის მასშტაბით სივრცითი განვითარების კუთხით. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებსა და გზრდილ მოწყვლადობას კონკრეტული დარგობრივი და სივრცითი შედეგები მოჰყვება. კრიტიკულად მნიშვნელოვანია სისტემური და სრულფასოვანი მართვითი მიდგომის გამოყენება, რათა შენარჩუნდეს ბუნებრივი კაპიტალი, შემცირდეს გარემოს ხარისხობრივი დაქვეითება და გაძლიერდეს კლიმატ-მედეგობა. მსგავსი საკითხები „გეგმის“ ყველა ანალიზსა და ასპექტში იქნება გააზრებული. „გეგმა“ ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ საერთაშორისო ასპარეზზე გარემოს დაცვის კუთხით აღებული ვალდებულებების შესრულებას (მათ შორის უმთავრესია პარიზის შეთანხმება, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული ვალდებულება (NDC) განახლებების შესაბამისად²⁷) და გამოავლენს განაშენიანების ისეთი მოდელის დანერგვის პოტენციალს, რომელიც გარემოზე უარყოფითად არ აისახება, წაახალისებს რეგენერაციას, მედეგობასა და მყარი ნარჩენების გადამუშავებას.

25. „გეგმისთვის“ განხორციელდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (შემდგომში - სგშ), რათა გაანალიზდეს სავარაუდო გავლენა გარემოსა და საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე. სგშ-ს შედეგები და დასკვნები გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული დოკუმენტების მიღებისას. კონსულტანტი ვალდებული იქნება დაიცვას ეროვნული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის სამართლებრივი მოთხოვნები, მათ შორის, საჯარო განხილვების ჩატარების აუცილებლობა.

26. რადგან „გეგმის“ შემუშავება მომავალზე ორიენტირებული პროცესია, მასში უნდა აისახოს ყველა შესაძლო მოლოდინი, შესაძლებლობა და ინტერესი. შესაბამისად, აუცილებელია დაინტერესებულ პირთა ფართო სპექტრის ჩართულობის უზრუნველყოფა და კონსულტაციების წარმართვა (ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი, კერძო სექტორები, ბიზნესის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდები, ქალები, ადგილობრივი თემები, საერთაშორისო დონორები და სხვ.). ეს მნიშვნელოვანია სივრცის დაგეგმარების პროცესის წარმატებულად წარსამართად და საბოლოო შედეგის მისაღწევად. თანამონაწილეობა ხელს შეუწყობს ფართო კონსულტაციას და ნდობის ჩამოყალიბებას დაინტერესებულ მხარეებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის. პროცესი უკეთ გამოავლენს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის კომპლექსურობას და შექმნის განვითარების დამატებით ვარიანტებსა და ალტერნატივებს.

²⁷ https://unfccc.int/sites/default/files/NDC/2022-06/NDC%20Georgia_ENG%20WEB-approved.pdf

27. სივრცითი განვითარების ეროვნული გეგმის შემუშავების პროცესში, კონსულტანტი „სააგენტო“-ს თანამშრომლებს და სხვა მონაწილეებს აქტიურად ჩაუტარებს საჭირო ტრენინგებს და გაუზიარებს ტექნიკურ ცოდნას. მსგავსი ღონისძიებების შედეგები სპეციალურ ანგარიშში აისახება.

დ. სამუშაოს მოცულობა და დავალებები

28. საქართველოს უნიკალური მახასიათებლებიდან და ზემოთ აღწერილი ზოგადი მიდგომიდან გამომდინარე, „გეგმის“ შემუშავება წარმართება ოთხ ფაზად:

I. **კვლევისა და პრობლემების დიაგნოსტიკის ფაზა** პასუხობს შეკითხვას „როგორ აღვიქვამთ საქართველოს დღეს?“. პრობლემის სიდრმისეული აღწერა = და სივრცითი ანალიზი დაეფუძნება ფაქტობრივ მონაცემებს და შექმნის სამეცნიერო საფუძველს გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის.

II. **ხედვის, სტრატეგიის და სიცოცხლისუნარიანობის შეფასების ფაზა**, პასუხობს შეკითხვას „როგორ ვხედავთ საქართველოს 2030 და 2040 წელს?“. ეს ფაზა მოიცავს კონსულტაციების ფართომასშტაბიან პროცესს, სცენარების, ტენდენციების, შესაძლებლობების შეფასებას, და შედეგად მკაფიო ხედვისა და მიზნების ჩამოყალიბებას.

III. **კონცეფციის ფაზა** პასუხობს შეკითხვას „როგორ ვაქციოთ ხედვა რეალობად?“. ეს ეტაპი წარმოგვიდგენს სივრცით სტრატეგიებს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად

IV. **საბოლოო გეგმის ფაზა** გულისხმობს - „საქართველო დღეს, 2030 და 2040 წელს და როგორ განვანორციელოთ გეგმა“. ეს ფაზა მოიცავს გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავებას ყველა კომპონენტის გათვალისწინებით და ასევე საბოლოო კონსულტაციების სესიებს.

29. „გეგმაზე“ მომუშავე კონსულტანტების მიერ მისაღწევი საბოლოო შედეგები და განსახორციელებელი სამუშაოები შეჯამებულია **ცხრილში 1**.

ცხრილი 1: ძირითადი სამუშაოები და საბოლოო შედეგები

სამუშაოები	საბოლოო შედეგი	დასრულების სავარაუდო თარიღი
I ეტაპი – კვლევა-დიაგნოსტიკა		
მობილიზება და საწყისი შეხვედრა		
მონაცემთა შეგროვება და პოლიტიკების, გეგმებისა და სტრატეგიების განხილვა		
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგია		
დაინტერესებულ პირთა იდენტიფიკაცია და ჩართულობის გეგმა		
„გეგმის“ მონაცემთა ბაზის შემუშავება და რუკების პლატფორმის არქიტექტურის განსაზღვრა	მეთოდოლოგია პლატფორმისთვის	
საწყისი ანგარიშის მომზადება		
საწყისი ანგარიშის სემინარი	საწყისი ანგარიში	დაწყებიდან 2 თვე
სივრცის დაგეგმარების პოტენციალის გაძლიერების პროგრამის შემუშავება	ტრენინგის მეთოდოლოგია და გეგმა	

პრობლემათა დიაგნოსტიკა და სივრცითი ანალიზის მომზადება		
სგმ-სთან დაკავშირებული პროცედურების დაწყება		
კლიმატის მედეგობის შეფასება ტერიტორიული მმართველობის ანალიზი		
პრობლემების დიაგნოსტიკის სამუშაო დოკუმენტები და რუკები კონსულტაციისთვის (*)	სამუშაო დოკუმენტები და რუკები	დაწყებიდან 6 თვე
სივრცითი SWOT ანალიზი (*)		
კვლევის ანგარიშის პროექტის მომზადება		
I ეტაპი. სემინარი კვლევისა და პრობლემათა დიაგნოსტიკის თაობაზე		
საბოლოო კვლევისა და დიაგნოსტიკის ანგარიში	კვლევისა და დიაგნოსტიკის ანგარიში	დაწყებიდან 10 თვე
II ეტაპი – ხედვა, სტრატეგია და სიცოცხლისუნარიანობა		
რუკების ციფრული პლატფორმის შემუშავება და განვითარება სიდრმისეული ანალიზი		დაწყებიდან 9 თვე
სტრატეგიული განვითარების სცენარები		
სტრატეგიული ხედვის სემინარები (*)		
სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრა		
ხედვის, სტრატეგიის და სიცოცხლისუნარიანობის ანგარიშის მომზადება		
ხედვის, სტრატეგიის და სიცოცხლისუნარიანობის სემინარი		
ხედვის, სტრატეგიის და სიცოცხლისუნარიანობის საბოლოო ანგარიში	ხედვის, სტრატეგიის და სიცოცხლისუნარიანობის ანგარიში	დაწყებიდან 13 თვე
III ეტაპი – კონცეფცია		
სივრცითი სტრატეგიების განვითარება (*)		
კონცეფციის შუალედური ვერსიის მომზადება	კონცეფციის შუალედური ვერსია	დაწყებიდან 15 თვე
სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროექტი	სგმ	
რუკების ციფრული პლატფორმის გაშვება		დაწყებიდან 16 თვე
ინსტიტუციების, პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების პრობლემების ანალიზი (Gap analysis)		
კონცეფციის პროექტის მომზადება	კონცეფცია	დაწყებიდან 18 თვე
კონცეფციის სემინარი		
განახლებული კონცეფცია - ოფიციალურად დასამტკიცებლად წარსადგენი ვერსია		დაწყებიდან 20 თვე
IV ეტაპი - საბოლოო გეგმა		
საბოლოო გეგმის შემუშავება, სგმ პროცედურების ჩათვლით გეგმის იმპლემენტაციის გზამკვლევი და სახელმძღვანელო (გაიდლაინი)		
გეგმის პროექტის საბოლოო ვერსიის მომზადება	საბოლოო გეგმის პროექტი	დაწყებიდან 23 თვე
სგმ		
საბოლოო გეგმის პროექტის სემინარი		
საბოლოო გეგმა	საბოლოო გეგმა	დაწყებიდან 25 თვე
ადამიანური რესურსების განვითარებასთან დაკავშირებული დონისძიებების გაერთიანება	პოტენციალის გადღიერება - საბოლოო ანგარიში	დაწყებიდან 25 თვე

(*) აღნიშნავს კონსულტაციებს საკვანძო დაინტერესებულ პირებთან.

ე. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და გუნდის შემადგენლობა

30. „გეგმის“ მომზადების პროცესისთვის ADB / SUDA ეძებს საერთაშორისო კომპანიებს წამყვანი კონსულტანტების როლში. კონსულტანტები მონაწილეობას მიიღებენ ფირმების მეშვეობით. მათ უნდა იმუშაონ შესაბამის ადგილობრივ საკონსულტაციო ფირმებთან, რათა უზრუნველყონ პროექტის დროული მიწოდება და გამოავლინონ დავალების შესრულებისთვის საჭირო ექსპერტული ცოდნა.

31. კონსულტანტმა საპროექტო მითითებების საფუძველზე უნდა გამოავლინოს ტექნიკური კომპეტენცია და საერთაშორისო გამოცდილების მრავალფეროვნება:

- სულ ცოტა, 10 წლიანი გამოცდილება საერთაშორისო ბაზარზე;
- გამოცდილება სივრცის დაგეგმარების დარგში ქვეყნისა ან/და რეგიონის დონეზე, სულ ცოტა, 7 პროექტი;
- გამოცდილება ფართომასშტაბიან საკონსულტაციო მომსახურებაში ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის, ენერჯეტიკის, საცხოვრისის, საერთაშორისო ვაჭრობის, ლოგისტიკის, გარემოს დაცვის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში, სულ ცოტა 10 პროექტი;
- გამოცდილება მალაქითიანი და სანაპირო რეგიონების სივრცობრივ და რეგიონულ დაგეგმარებაში;
- გამოცდილება საზღვაო სივრცის დაგეგმარებაში;
- აღმოსავლეთ, დასავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მიღებული გამოცდილება. საქართველოში მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად.

32. ცხრილი 3-ის შესაბამისად, საპროექტო გუნდში შევა 5 საკვანძო საერთაშორისო ექსპერტი (44 ადამიანი-თვე) და 9 საკვანძო ადგილობრივი ექსპერტი (97 ადამიანი-თვე), 4 არასაკვანძო საერთაშორისო ექსპერტი (22 ადამიანი-თვე) და 15 არასაკვანძო ადგილობრივი ექსპერტი (163 ადამიანი-თვე). საკონსულტაციო ფირმებს, რომლებიც მონაწილეობენ დავალებაში, შეუძლიათ წარადგინონ წინადადებები ალტერნატიული პერსონალის თაობაზე, რომელიც უკეთ ერგება მათ მიდგომას და აკმაყოფილებს წინამდებარე დავალებაში გაწერილ მოთხოვნებს, თუმცა არსებითად არ უნდა გადააჭარბონ კონსულტანტთა მიერ გაწეული ძალისხმევის (ადამიანი-თვე) პროპორციას.

ცხრილი 3: გუნდის სავარაუდო შემადგენლობა და საორიენტაციო პროპორცია

ძირითადი გუნდი - საკვანძო ექსპერტები				
	საერთაშორისო	ად/თვე	ადგილობრივი	ად/თვე
1	რეგიონული მგეგმარებელი/გუნდის ლიდერი	19.0	სივრცითი მგეგმარებელი/ გუნდის ლიდერის მოადგილე	22.0
2	ტრანსპორტისა და შეკავშირებულობის სპეციალისტი	7.0	ურბანული დამგეგმარებელი	12.0
3	კლიმატის ცვლილების სპეციალისტი	7.0	ინსტიტუციური და პოტენციალის განვითარების სპეციალისტი	12.0
4	ეკონომისტი	6.0	ლოგისტიკისა და ვაჭრობის სპეციალისტი	8.0

5	ადგილობრივი განვითარების სპეციალისტი	5.0	საინჟინრო ინფრასტრუქტურის სპეციალისტი	10.0
6			გარემოს დაცვის სპეციალისტი	8.0
7			სოფლის მეურნეობის/სოფლის განვითარების სპეციალისტი	8.0
8			საცხოვრის სპეციალისტი	7.0
9			ურბანული ეკონომისტი	10.0
10	სულ	44.0		97.0

დამხმარე გუნდი - არასაკვანძო ექსპერტები				
	საერთაშორისო	ად/თვე	ადგილობრივი	ად/თვე
1	გარემოს დაცვის სპეციალისტი	6.0	ტურიზმის სპეციალისტი	8.0
2	ადგილობრივი განვითარების სპეციალისტი	6.0	რეგიონული დამგეგმავი / გეოგრაფი	15.0
3	ზღვის სივრცის დაგეგმარების სპეციალისტი	5.5	სოციალური სექტორისა და გენდერის სპეციალისტი	7.0
4	სივრცითი მონაცემებისა და ინტერნეტ ტექნოლოგიების ბაზაზე რუკების შემუშავების სპეციალისტი	5.5	ციფრული რუკების სპეციალისტი (IT)	18.0
5			დაინტერესებულ პირთა ჩართულობის სპეციალისტი	7.0
6			კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტი/ეთნოლოგი	6.0
7			რისკების შემცირებისა და კლიმატის ცვლილების გეგმარებითი სპეციალისტი	6.0
8			იურისტი	6.0
9			ენერგეტიკის სპეციალისტი	6.0
10			ჰიდროლოგი	3.0
11			კომუნიკაციების სპეციალისტი	6.0
12			გის-ის სპეციალისტი	22.0
13			პროექტის დირექტორი/სათაო ოფისის დამხმარე	6.0
14			დამხმარე პერსონალი (ასისტენტი)	24.0
			მთარგმნელ-თარჯიმანი	24.0
	სულ	23.0		163.0

3. განხორციელებული ღონისძიებები და ანგარიშგება

33. „სააგენტო“ განახორციელებს პროექტის ადმინისტრირებას და ზედამხედველობას გაუწევს დავალების შესრულების მიმდინარეობას. სააგენტო ნებისმიერი სახის კომუნიკაციის, მოხსენებებისა და პროექტის მენეჯმენტის ასპექტების პირველადი წყაროა. კონსულტანტი ანგარიშს ჩააბარებს „სააგენტო“-ს. **სამუშაო ჯგუფი** „სააგენტო“-სთან კოორდინაციის საფუძველზე შეიქმნა; ის შედგება „სამთავრობო კომისიის“ საკვანძო უწყებებიდან ნომინირებული წარმომადგენლებისგან. მისი ფუნქციაა (I) „სამთავრობო კომისიის“ სახელით განახორციელოს ტექნიკური მეთვალყურეობა, (II) უზრუნველყოს შეუფერხებელი კომუნიკაცია და

ინფორმაციის გაცვლა, (III) ჩაიბაროს ყოველთვიური მოხსენებები პროგრესის თაობაზე, (IV) დროულად დაეხმაროს კონსულტანტს შესაბამისი მონაცემების მოპოვებასა და დაინტერესებულ პირებთან დაკავშირებაში და (V) განიხილოს წარმოდგენილი მასალა. **სივრცის დაგეგმარების სამთავრობო კომისიას** მეტწილად სტრატეგიული ფუნქცია აქვს. ის შეითანხმებს გეგმის კონცეფციასა და საბოლოო გეგმას. **საკონსულტაციო საბჭო** შესაძლოა შეიქმნას „გეგმის“ შემუშავების პროცესში და ჩატარდეს განსაკუთრებულ შემთხვევებში. საბჭოს სავარაუდო შემადგენლობა მოიცავს ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებს, მისი დანიშნულება იქნება „სააგენტო“-სთვის კონსულტაციის გაწევა, კონკრეტულ საკითხებზე რჩევების მიცემა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. კომუნიკაციის სტრუქტურის დეტალებთან დაკავშირებით, კონსულტაცია, პროექტის საწყის ეტაპზე წარიმართება.

34. განხილვის პროცესში კონსულტანტი ანგარიშის პროექტებს წარუდგენს „სააგენტო“-სა და სამუშაო ჯგუფს, რომელიც განსაზღვრავს შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი მასალები მოთხოვნილს და განიხილავს შედეგების ხარისხს. საჭიროებისამებრ, კონსულტანტს წარედგინება ხარვეზების წერილობითი ნუსხა, რომელიც მათ უნდა გამოასწორონ და ხელახლა ჩააბარონ მოთხოვნილ ვადაში. დეტალურად პროცესი უნდა წარიმართოს შემდეგი სახით:

- კონსულტანტის მიერ ანგარიშის პროექტის წარდგენის შემდეგ „სააგენტოს“ და სამუშაო ჯგუფს ექნებათ 15 (სდ) კვლევისა და ხედვის, ხოლო 20 (სდ) კონცეფციისა და საბოლოო გეგმის ეტაპისთვის წარმოდგენილ დოკუმენტების გადასახედად და კომენტარების მატრიცის შესამუშავებლად;

- კონსულტანტს ექნება შესაძლებლობა დააკორექტიროს დოკუმენტაცია, კომენტარებისა და რეკომენდაციების მიხედვით, განმარტოს ხარვეზების ბუნება და მასშტაბები, შეავსოს კომენტარების მატრიცა. კონსულტანტს ექნება 10 (სდ) კვლევისა და ხედვის, ხოლო 12 (სდ) კონცეფციისა და საბოლოო გეგმის პროექტის გადასახედად და განახლებული ვერსიის „სააგენტოსათვის“ წარსადგენად.

- ხელახლა ჩაბარებულ მასალას, „სააგენტო“ სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციების საფუძველზე კიდევ ერთხელ განიხილავს, რათა განსაზღვროს აღმოიფხვრა თუ არა ხარვეზები, ამისთვის გამოყოფილ იქნება 7 (სდ) კვლევისა და ხედვის, ხოლო 10 (სდ) კონცეფციისა და საბოლოო გეგმის ეტაპისთვის.

35. ყველა საპროექტო ანგარიში უნდა შემუშავდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე, მიეწოდოს შესაბამის ორგანოებს, როგორც ბეჭდურ ისე ელექტრონულ ფორმატში. საკონსულტაციო ფირმა „სააგენტო“-ს ჩააბარებს თითოეული ანგარიშის ხუთ დაბეჭდილ ასლს. ანგარიშების ელექტრონული ვერსიები წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც MS Word, ისე PDF ფორმატებში. საკონსულტაციო ფირმა „სააგენტო“-ს მიაწვდის ასევე ფაილების საბოლოო ელექტრონულ ვერსიას, რომელსაც შესაბამისი სახელები დაერქმევა და ორგანიზებული იქნება იერარქიულად (დირექტორიის სტრუქტურის შესაბამისად, შეგროვებული მონაცემების, ელ. ცხრილების, მოდელებისა და ა.შ. ჩათვლით).

დანართები

დანართი #1. საკანონმდებლო ბაზა გეგმის შესამუშავებლად

დადგენილება #604
2022 წელი 29 დეკემბერი

„საქართველოს სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის „საქართველო 2030“ შემუშავების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 მარტის #89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის „საქართველო 2030“ შემუშავების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 მარტის #89 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის „საქართველო 2030-ის“ შემუშავების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“.

2. 1-ლი, მე-2 და მე-3 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო კოდექსის მე-15, მე-16, მე-18 და მე-19 მუხლების შესაბამისად, საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის - „საქართველო 2030“-ის კანონმდებლობით დადგენილი წესით შემუშავებისა და დამტკიცების ხელშეწყობის/კოორდინაციის მიზნით, შეიქმნას სამთავრობო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

1. საქართველოს პრემიერმინისტრი – კომისიის თავმჯდომარე;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს ვიცეპრემიერი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი საქართველოს ვიცეპრემიერი;
4. საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
5. საქართველოს ფინანსთა მინისტრი;
6. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;
7. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი;
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;
9. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი;

10. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;
11. საქართველოს თავდაცვის მინისტრი;
12. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;
13. პერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;
14. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე;
15. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე;
16. ყოფილი სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელი;
17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი;
18. სსიპ – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი

მუხლი 2. კომისიამ უზრუნველყოს „საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის „საქართველო 2030-ის“ კანონმდებლობით დადგენილი წესით შემუშავებისა და დამტკიცების ხელშეწყობა/კოორდინაცია.

მუხლი 3. დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის „საქართველო 2030“ შემუშავების სამთავრობო კომისიის დებულება“.

3. დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის „საქართველო 2030“ შემუშავების სამთავრობო კომისიის დებულება“.

4. დანართის:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის „საქართველო 2030-ის“ (შემდგომში – გეგმა) შემუშავების კომისია (შემდგომში – კომისია) შექმნილია საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“;

ბ) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. კომისიის მიზანი, ფუნქციები და ამოცანები

1. კომისიის მიზანია, უზრუნველყოს გეგმის კანონმდებლობით დადგენილი წესით შემუშავებისა და დამტკიცების ხელშეწყობა/კოორდინაცია.

2. კომისიის ფუნქციები და ამოცანებია:

ა) გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების ხელშეწყობა/კოორდინაცია;

ბ) გეგმის შემუშავების მიზნით, სამდივნოსა და სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული წინადადებებისა და რეკომენდაციების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება.“;

კანონი	საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ
პრეზიდენტის 1999 წლის 30 აპრილის ბრძანებულება #206	საქართველოში სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატორთა სისტემის შესახებ
მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის დადგენილება #261	ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების ძირითადი დებულებების შესახებ
მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის დადგენილება #260	სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ
მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #425	საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ
მთავრობის 2014 წლის 3 ივლისის დადგენილება #428	საქართველოს კურორტების ნუსხისა და სტატუსის დამტკიცების შესახებ
მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის დადგენილება #366	ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები
მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის დადგენილება # 365	მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ
მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება # 445	საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე
მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება # 440	წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე
მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება # 71 (დანართი N5)	საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო კლიმატოლოგია“
მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება # 71 (დანართი N3)	საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი - „სეისმომედეგი მშენებლობა“
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 28 იანვრის ბრძანება #1	სახელმწიფო ტოპოგრაფიული რუკების (გეგმების) ფურცლებად დაყოფისა და მათი აღნიშვნების წესის დამტკიცების თაობაზე
მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება # 52	საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დამკვეთების შესახებ

მთავრობის 2013 წლის 7 მარტის დადგენილება # 50	საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ.
მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის დადგენილება # 72	სივრცის დაგეგმარების საინფორმაციო სიტემის შესახებ

საერთაშორისო კონვენციები/პროტოკოლები

დოკუმენტის ტიპი	დასახელება
კონვენცია	ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენცია (რიო დე ჟანეირო, 1992 წელი)
პროტოკოლი	კარტაგენას პროტოკოლი ბიოუსაფრთხოების შესახებ ბიომრავალფეროვნების კონვენციის თაობაზე
კონვენცია	გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენცია (ნიუ-იორკი, 1992 წლის 9 მაისი)
კონვენცია	გაეროს ჩარჩო კონვენციის პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილებებზე
პროტოკოლი	კიოტოს პროტოკოლი გაეროს ჩარჩო კონვენციის თაობაზე კლიმატის ცვლილების შესახებ, კიოტო, 1997 წლის 11 დეკემბერი
კონვენცია	ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ (ვენა, 1985 წლის 22 მარტი)
პროტოკოლი	მონრეალის პროტოკოლი ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ (მონრეალი, 1987 წელი) მონრეალის პროტოკოლი ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ შესწორება, კოპენჰაგენი 1992 წლის 25 ნოემბერი
კონვენცია	გაეროს კონვენცია გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ იმ ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან სერიოზულ გვალვას და/ან გაუდაბნობას, განსაკუთრებით აფრიკაში (პარიზი, 1994 წელი)
კონვენცია	კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.
კონვენცია	მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია
კონვენცია	კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (UNESCO, 1972 წელი)
კონვენცია	ევროპის საბჭოს ლანდშაფტის კონვენცია (ფლორენცია, 2000 წელი)
კონვენცია	ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია (ბერნი, 1979 წელი)

კონვენცია	ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია (გრანადა, 1985 წელი)
გაეროს ადამიანთა დასახლებების პროგრამა (UN-Habitat) (რეკომენდებულია)	

შენიშვნა: ზემოთ მოყვანილი სია განსაზღვრულია ჩვენებისათვის.

ამონარიდი საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსიდან

მუხლი 8. სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის სახელმძღვანელო პრინციპები და გეგმების ახალ გარემოებებთან შესაბამისობა

1. სივრცის დაგეგმარება და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა ემყარება მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური წინაპირობების ჰარმონიზაციას საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების და გარემოსდაცვით მოთხოვნებთან. ამ მიზნით საქართველოს სივრცის დაგეგმარება და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) როგორც დასახლებულ ტერიტორიაზე, ისე დაუსახლებელ ტერიტორიაზე ადამიანისათვის ღირსეული საარსებო პირობების შექმნა და შენარჩუნება;

ბ) ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარებისათვის თანაბარი წინაპირობების შექმნა, განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;

გ) დასახლებათა პოლიცენტრული სტრუქტურის განვითარება, ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ურბანული საშუალებებით გაუმჯობესება;

დ) დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისებასთან შედარებით უპირატესობის მინიჭება დასახლებათა (მათ შორის, დეგრადირებული ან მიტოვებული დასახლებების) ტერიტორიების განახლებისათვის ან/და ინტენსიფიკაციისათვის, მიწის მომჭირნედ და დაზოგვით გამოყენება, სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება;

ე) დაუსახლებელი ტერიტორიების სისტემის დაცვა და ბუნებრივად ან/და კულტურულად ჩამოყალიბებული მრავალფეროვნების შენარჩუნება;

ვ) სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე დასახლების დამოუკიდებელ (თვითკმარ) ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება ქალაქებთან და განვითარების სხვა ცენტრებთან პარტნიორობის საფუძველზე;

ზ) მომსახურებისა და სატრანსპორტო/საინჟინრო ინფრასტრუქტურის ეფექტიანი შესაბამისობა დასახლებული ტერიტორიებისა და დაუსახლებელი ტერიტორიების სისტემასთან, ქვეყნის

მთელ ტერიტორიაზე კომუნიკაციების და ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობა, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი ტერიტორიული წინაპირობების შექმნით ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ხელშეწყობა;

თ) დასახლებებში ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის უპირატესობის მინიჭება;

ი) სატრანსპორტო/საინჟინრო ინფრასტრუქტურის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება, სხვა მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების დაძლევა;

კ) ისტორიული და კულტურული კავშირების, კულტურული და ბუნებრივი ლანდშაფტების, მათი დამახასიათებელი ნიშნების, ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების დაცვა და შენარჩუნება;

ლ) დაცული ტერიტორიებისა და სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება და განვითარება, ნიადაგის, წყლის, ფლორის, ფაუნისა და კლიმატის შენარჩუნება, დაცვა და აღდგენა;

მ) დასახლებული და დაუსახლებელი ტერიტორიების ბუნებრივი, ტექნოგენური და სოციალური საფრთხეებისა და საგანგებო სიტუაციებისაგან (მათ შორის, ხანძრისაგან) დაცვა შესაბამისი გეგმარებითი გადაწყვეტის, საინჟინრო და სამეურნეო-ორგანიზაციული ღონისძიებების მეშვეობით;

ნ) განახლებადი ენერჯის განვითარებისათვის პერსპექტიული ადგილების შენარჩუნება, სათბური გაზების ატმოსფერული ჰაერიდან შთანთქმის ხელშეწყობი სივრცით-ტერიტორიული წინაპირობების შექმნა;

ო) საქართველოს ტერიტორიული ზღვის (წყლების) და საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სივრცის დაგეგმარებისას სამეცნიერო კვლევების შესაძლებლობის, სანაოსნო გზების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის, შესაბამისი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა;

პ) ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების შენარჩუნება და მდგრადი განვითარება, განსაკუთრებით – სოფლის მეურნეობის ტერიტორიებისა და მრავალფუნქციურ-კომპაქტურ დასახლებათა განვითარების ხელშეწყობით;

ჟ) სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის პროცესში საქართველოში არსებული სეისმური მდგომარეობის გათვალისწინება.

2. სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინება სავალდებულოა დაგეგმვის უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ორგანოსთვის.

3. სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის პროცესში ცალკეულ ტერიტორიებზე სივრცით კატეგორიასა და ფუნქციურ ზონას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში საკითხი ამ კოდექსის მე-9 მუხლით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად უნდა გადაწყდეს.

4. სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საჭიროებისა და ახალწარმოქმნილი გარემოებების არსებობისას სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმები უნდა განახლდეს.

5. სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობით გეგმებში ცვლილება შეიტანება ახალი გეგმების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.

მუხლი 16. საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის შემადგენლობა

1. საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

ა) განსახლების (დასახლებული და დაუსახლებელი ტერიტორიების) არსებულ და პერსპექტიულ სტრუქტურას, განსახლების სხვადასხვა დონის ცენტრების იერარქიას, დემოგრაფიის, ურბანიზაციისა და დეცენტრალიზაციის ასპექტებს;

ბ) სივრცით კატეგორიებს (დასახლებული ტერიტორია, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორია, ბუნებრივი ლანდშაფტი, სხვა ტერიტორია);

გ) განვითარების ცენტრების სისტემას;

დ) დასაქმების ადგილებს, საცხოვრებლის ინტენსიური განვითარების ადგილებს, სუსტად განვითარებული სტრუქტურის მქონე ტერიტორიებს;

ე) დაუსახლებელი ტერიტორიების დაცვის, მათი ფუნქციების შენარჩუნებისა და განვითარების ღონისძიებებს;

ვ) დაუსახლებელ ტერიტორიებზე წიაღისეულის მოპოვების ადგილებს;

ზ) წყლის ობიექტებს და წყალშემკრებ ტერიტორიებს;

თ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიებს;

ი) ტყის მასივის დაცვისა და განვითარების ტერიტორიებს;

კ) დაცული ტერიტორიების სისტემას;

ლ) სარეკრეაციო ტერიტორიებსა და საკურორტო ტერიტორიებს;

მ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ტერიტორიებს;

ნ) ძირითად საინჟინრო და სატრანსპორტო კომუნიკაციებს;

ო) ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითად გეგმარებით ღერძებს;

პ) ენერგეტიკულ ობიექტებს;

ჟ) საწარმოო პოტენციალის მქონე ტერიტორიებს;

რ) ქვეყნის ცალკეულ ნაწილებში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მისაღებ ძირითად ზომებს, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიების შენარჩუნებას;

ს) თავდაცვის მიზნებისათვის განკუთვნილ ტერიტორიებს.

2. სივრცის დაგეგმარების საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა შეიძლება მოიცავდეს აგრეთვე სხვა მიზნებისთვის გამოსაყენებელ განსაკუთრებულ ტერიტორიებს, მათ შორის, თავისუფალ ინდუსტრიულ, ეკონომიკურ და ტურისტულ ზონებს.

3. საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა უნდა მოიცავდეს აგრეთვე ლანდშაფტის დაცვის, გაუმჯობესებისა და განვითარების ღონისძიებებს.

მუხლი 17. სპეციალური მოთხოვნები საქართველოს ტერიტორიული ზღვის (წყლების) და საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სივრცის დაგეგმარების გეგმებისათვის

1. ამ კოდექსის მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორიული ზღვა (წყლები) და საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა განიმარტება „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა შესაძლებელია მოიცავდეს საქართველოს ტერიტორიული ზღვის (წყლების) და საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სივრცის დაგეგმარების გეგმებს. ეს გეგმები შეიძლება მოიცავდეს აღნიშნული ზონების ფარგლებში ზღვის ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენების ადგილებს, ხელოვნური გარემოს ჩამოყალიბების, გარემოს დაცვის სპეციალური რეჟიმის, აკვაულტურის, ტურისტული განვითარებისა და სამეცნიერო კვლევების განხორციელებისთვის განკუთვნილ ტერიტორიებს.

3. საქართველოს ტერიტორიული ზღვის (წყლების) და საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სივრცის დაგეგმარების გეგმების შემუშავება და დამტკიცება ხდება საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმისათვის დადგენილი წესით“.

260-ე დადგენილებით დამტკიცებული წესის, დანართი #1

სივრცის დაგეგმარების გეგმების სავარაუდო შემადგენლობა (სარეკომენდაციო)

1. გეოსტრატეგიული კონტექსტი, მათ შორის:

- 1.1. საქართველო როგორც ცივილიზაციური ვექტორების გადაკვეთა-შერწყმის ფოკუსი;
- 1.2. საქართველოს ტერიტორია საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებში (ხმელეთი, აკვატორია, წიაღი, საჰაერო სივრცე) და სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის მდგომარეობა;
- 1.3. ტრანსსასაზღვრო ეკონომიკური ურთიერთობების არეალები;
- 1.4. საქართველო რეგიონულ ბუნებრივ-ეკოლოგიურ სისტემაში;
- 1.5. სახელმწიფოთაშორისო სატრანსპორტო საკომუნიკაციო კორიდორები (საინჟინრო-საგზაო ინფრასტრუქტურის და საზღვაო და საჰაერო მარშრუტებით);
- 1.6. რეგიონის ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობები და სიმჭიდროვეები (დემოგრაფიული კონტექსტი);
- 1.7. ურბანული ცენტრები;
- 1.8. უნივერსიტეტები და სამეცნიერო ცენტრები;
- 1.9. საერთაშორისო ფესტივალები, გამოფენები, ბაზრობები;
- 1.10. საელჩოები და საკონსულოები; საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობები;

1.11. „ცხელი წერტილები“.

2. ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მათ შორის:

2.1. ტერიტორიის ბუნებრივ-კლიმატური ზონირება:

- 2.1.1. ლანდშაფტები (კლასი, ჯგუფი, ტიპი);
- 2.1.2. ზოგადი გეოლოგია;
- 2.1.3. ჰიფსომეტრია და ბათიმეტრია;
- 2.1.4. ფერდობების ქანობები და ინსოლაცია;
- 2.1.5. ქართა რეჟიმები;
- 2.1.6. სამდინარო აუზები და ჰიდროგრაფია.

2.2. საგანგებო სიტუაციის რისკის ზონები და კერები:

- 2.2.1. გლობალური დათბობა;
- 2.2.2. დეგრადირებული ლანდშაფტები;
- 2.2.3. სეისმიკა;
- 2.2.4. კარსტი;
- 2.2.5. წიაღისეული გამომუშავებები;
- 2.2.6. დატბორვა;
- 2.2.7. წყალდიდობა;
- 2.2.8. წყალმოვარდნა;
- 2.2.9. ნაპირების ეროზია და აბრაზია;
- 2.2.10. ღვარცოფი;
- 2.2.11. ზვავები;
- 2.2.12. მეწყერი;
- 2.2.13. ქვათაცვენა;
- 2.2.14. ნიადაგის დამლაშება;
- 2.2.15. გადაძოვება;
- 2.2.16. გაბუჩქნარება;
- 2.2.17. ტყის მასიური გაჩენვა (დეფორესტიზაცია);
- 2.2.18. ექსტრემული ნალექი;

- 2.2.19. შტორმი;
- 2.2.20. ქარიშხალი;
- 2.2.21. გაუდაბნობა;
- 2.2.22. სხვა.
- 2.3. ეკოლოგია:**
 - 2.3.1. ჰაერი;
 - 2.3.2. ნიადაგი;
 - 2.3.3. წყალი;
 - 2.3.4. რადიაციული და ელექტრომაგნიტური გამოსხივება.
- 2.4. დაცული ტერიტორიების სისტემა:**
 - 2.4.1. სახელმწიფო ნაკრძალი;
 - 2.4.2. ეროვნული პარკი;
 - 2.4.3. აღკვეთილი;
 - 2.4.4. დაცული ლანდშაფტი;
 - 2.4.5. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია;
 - 2.4.6. ბუნების ძეგლი;
 - 2.4.7. ბიოსფერული რეზერვატი;
 - 2.4.8. მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი;
 - 2.4.9. საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია;
- 3. დასახლებათა თანამედროვე სისტემა, განვითარების პერსპექტივა:**
 - 3.1. ქვეყნის ადმინისტრაციული სტრუქტურა (ავტონომიური რესპუბლიკები, მხარეები, მუნიციპალიტეტები (ისტორიულ-კულტურული პროვინციები));
 - 3.2. ურბანიზაცია;
 - 3.3. განსახლების კარკასი ძირითადი და დამხმარე ღერძების გამოყოფით;
 - 3.4. ქვეყნის სატრანსპორტო საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა (საინჟინრო-საგზაო ინფრასტრუქტურა და საზღვაო და საჰაერო მარშრუტებით);
 - 3.5. მხარეებისა და მუნიციპალიტეტების დელიმიტაცია;
 - 3.6. დასახლების სისტემა - განსახლების ცენტრებისა და ქვეცენტრების გამოყოფით;
 - 3.7. აგლომერაციები.
- 4. ეკონომიკა:**
 - 4.1. ეკონომიკური დარაიონება;
 - 4.2. კონკურენტულობა (რეგიონების მიხედვით);
 - 4.3. თავისუფალი ეკონომიკური ზონა;
 - 4.4. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.
- 5. სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურა:**
 - 5.1. მაგისტრალური რკინიგზა;
 - 5.2. ვიწროლიანდაგიანი ელექტროტრანსპორტი;
 - 5.3. საერთო სარგებლობის საავტომობილო გზები;
 - 5.4. საბაგირო ინფრასტრუქტურა (სამგზავრო, სამეურნეო, სასპორტო);
 - 5.5. საწყლოსნო ინფრასტრუქტურა (საზღვაო, სამდინარო, შერეული);
 - 5.6. საჰაერო ინფრასტრუქტურა (საერთაშორისო აეროპორტები, ადგილობრივი აეროპორტები, სამხედრო აეროპორტები, სასწავლო და სასპორტო, ვერტოდრომი, საჰაერო ნავიგაციის პუნქტები);
 - 5.7. მაგისტრალური მილსადენი (წყლის, გაზის, ნავთობპროდუქტების);
 - 5.8. მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები;
 - 5.9. ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი;
 - 5.10. სახელმწიფო გეოდეზიური ქსელი.

6. სოციალურ-დემოგრაფიული ვითარება რეგიონების და მუნიციპალიტეტების მიხედვით:

- 6.1. მოსახლეობის რაოდენობა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა;
- 6.2. სიმჭიდროვე;
- 6.3. მიგრაცია;
- 6.4. ეთნო-კონფესიური შემადგენლობა;
- 6.5. სეზონური ბინადრობის ზონები;
- 6.6. დემოგრაფიულად დეპრესიული ზონები.

7. სოფლის მეურნეობა, აკვაკულტურა და სატყეო მეურნეობა:

- 7.1. საქონლის გადასარეკი ტრასები;
- 7.2. ფრინველთა სეზონური მიგრაციები;
- 7.3. თევზის მიგრაცია; თევზჭერის და ქვირითობის ზონები;
- 7.4. ცხოველთა მიგრაციის მარშრუტები;
- 7.5. ტყისა და წყლის ფონდების მიწები;
- 7.6. სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები მელიორაციის, ირიგაციის ზონების ჩვენებით და ქარსაფარი ზოლებით.

8. სამთო-მოპოვება, წარმოება და ენერგეტიკა:

- 8.1. სასარგებლო წიაღისეულის გავრცელების არეალები;
- 8.2. განახლებადი ენერგეტიკის რესურსები;
- 8.3. საწარმოო პოტენციალის მქონე ტერიტორიები;
- 8.4. ენერგეტიკული ობიექტები.

9. სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარებული ტერიტორიები და ობიექტები:

- 9.1. საიდუმლო და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტები;
- 9.1.1. სამოქალაქო თავდაცვის ობიექტები და სახანძრო-სამამშველო დანაყოფების დეპოები;
- 9.2. სასაზღვრო ზონა და ზოლი;
- 9.3. განსაკუთრებული რეჟიმის ზონები და ზოლები.
- 10. შიდამეურნეობების რაოდენობა და სიდიდე;
- 11. საცხოვრისი და კომუნალური მეურნეობა;
- 12. სასაწყობო-ლოგისტიკური და კომერციული სფერო, ბაზრობები;
- 13. განათლება და მეცნიერება;
- 14. კულტურა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა;
- 15. კურორტები და საკურორტო ადგილები;
- 16. ტურიზმი და სასპორტო-სარეკრეაციო ტერიტორიები;
- 17. გეგმარებითი შეზღუდვები;
- 18. სარეზერვო ტერიტორიები;
- 19. ეკონომიკური განვითარების პროგრამები, პროექტები, პირობები (PPP);
- 20. წინადადებები რეგიონულ პროექტებისთვის;
- 21. საქართველოს ტერიტორიის კომპლექსური შეფასება;
- 22. ტერიტორიების მართვა.

დანართი #2. საკვანძო პოლიტიკური დოკუმენტები, კვლევები და ანგარიშები

ეროვნული სტრატეგიები, გეგმები და პროგრამები.

- ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია (გამოქვეყნდა 2022 წელს)
- საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია
- საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023
- სამთავრობო პროგრამა 2021-2024
- საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა გურია, იმერეთი, კახეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 2020-2022
- დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025
- განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2030
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია
- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია
- საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030
- საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია
- პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წლები)
- საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <https://www.geostat.ge/ka>
- საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 20 მარტის ბრძანება #1-1/108

შენიშვნა: ზემოთ მოყვანილი სია საორიენტაციოა და არ არის ამომწურავი.

დამატებითი მონაცემები, ანალიზები და ანგარიშები

- ევროკავშირის მრავალწლიანი ინდუკტიური პროგრამა (2021-2027) საქართველოს მხარდასაჭერად; მეზობელი ტერიტორიების განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტი, ევროკომისია, 2022
- მსოფლიო ბანკის მონაცემები ქვეყანაზე <https://data.worldbank.org/country/georgia>
- საქართველო - ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი: თავი 2 - სივრცითი ტრანსფორმაცია მსოფლიო ბანკი, 2022
- Rapid Status Assessment of Spatial Planning in Georgia, GIZ. 2015

- კლიმატის ცვლილების გავლენა საქართველოს სანაპირო ზონაზე: მოწყვლადობის შეფასება და ადაპტაციის ვარიანტები ; საქართველოს სანაპირო ზონის დეგრადაცია მსოფლიო ბანკი, 2020.
- კლიმატთან დაკავშირებული რისკები, ქვეყნის პროფილი: საქართველო მსოფლიო ბანკის ჯგუფი და აზიის განვითარების ბანკი, 2021
- საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი
- ბუნებრივი კატასტროფებისა და რისკების გეოპორტალი, CENN, GIZ 2012
- საქართველო: გზა მწვანე და მედეგი განვითარებისკენ მსოფლიო ბანკი, 2020
- ურბანული პოტენციალის რეალიზება საქართველოში: ეროვნული ურბანული შეფასება. აზიის განვითარების ბანკი, 2016
- საქართველოს ადამიანური კაპიტალის მიმოხილვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი / მსოფლიო ბანკი, 2022
- საქართველოს პოლიტიკისა და სამართლებრივი მონაცემთა ბაზა. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია.